საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კურდღლისფრჩხილა (Lotus)

კურდღლისფრჩხილა

კურდღლისფრჩხილა (Lotus), მცენარეთა გვარი პარკოსანთა ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ორწლოვანი ან ერთწლოვანი ბალახები ან ბუჩქბალახებია. აერთიანებს 100-ზე მეტ სახეობას, რ-ებიც გავრცელებულია ევრაზიაში, აფრიკასა და ავსტრალიაში. საქართველოში გვხვდება 5 სახეობა. L. corniculatus კარგი საძოვარი (ყვავილობამდე) და სათიბი ბალახია.

ყვავილი უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს მწარე შხამიან გლიკოზიდს (თივასა და სილოსში ეს შხამი იშლება). იგი საქართველოში ყველგან იზრდება. ნიადაგის მიმართ ნაკლებმომთხოვნია. თივის მოსავალი – 2,0–3,0 *ტ/ჰა*. გათიბვის შემდეგ კარგად წამოიზრდება ხოლმე. კულტურულ სათიბ-საძოვრებში ხშირად მოჰყავთ სხვა ბალახებთან ერთად, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ბალახის მოსავლიანობას და აუმჯობესებს მის კვებით ღირებულებას. კ. თაფლოვანი მცენარეა.

ი. მიქელაძე